

რედაქცია: სოლოლაკზე, სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლ-ში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლ-ებში, № 8.

ხელის-მწერად მიიღება კანტორაში. მარჯვენა მკვრივებითაჲს: ВЪ Типографіи. Въ редакціи газ. „Дროება“.

გაზეთის ფასი: თითო წლი-სა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

განცხადება: მიიღება ქართულის, რუსულის, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებლისა: დიდ ასო-ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცი-ტერითი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გა-სწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდებ-გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდ-ლი სტატიები ავტორს არ დაუბრუნ-დება.

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაშრათ

„დროება“

ღირს სამ განმთად

პირველი ღვინოაღმოსაფრენად წლის დამლევამდინ—ორ განმთად.

ხელის-მწერად შეიძლება თუ-ღის სი: რედაქციაში, სერგიევს ქუჩა-ზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

შალაქს გარეშე პირთა ამ აღ-რესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Типографіи. Въ редакціи газетъ „Дროება“.

საქართველო

დღიური

* * * მასულს ორშაბათს, ღვინობის-თვის 30-ს, ჩვენი შალაქის რჩევაში ყვე-ლაზე პირველად ჩამოვარდა ლაპარაკი იმ შალაქის სახლის გადაკეთებაზედ, რომ-მელშიაც ამ ქამად პოლიციის კანცე-ლარია იმყოფება, დგას მთავარი პო-ლიციის მჭრობი კამანდა. ამ საგნის შე-სახებ რჩევამ გადაწყვიტა, რომ ადგი-ლობრივი გაზეთების საშუალებით გა-მოიხმოს მათრეველი, რომელთაც იკი-სრონ ამ სახლის გადაკეთების იჯარით აღება.

შემდეგ რჩევამ მოისმინა უფ. ხმო-ვანის თაირივის განცხადება, რომ ქა-ლაქის მამულებსა და სხვა ყოველგვარ ქონებას კერძო პირები იტაცებენო და ჩვენ კი, ქალაქის წარმომადგენელს, არც კი გვაქვს ინვენტარი (სია) შალაქის მა-მულებისაო, თუ რა ეკუთვნის ქალაქს და რა არაო. რჩევამ გადაწყვიტა შეად-გინოს სია ქალაქის ვეელა ქონებისა და მამულებისა.

ამას გარდა რჩევაში ჩამოვარდა, კიდევ ამავე ხმოვანის წინადადებით, ლაპარაკი იმაზედ, რომ კერძო პირები ისაკუთრებ-ნენ ქალაქის მოედნებსა და ტროტუარებს; მაგრამ ამ საგანზე სჯა უეცრივ ისეთ ნაირად გაცხარდა, რომ თავსმჯდომარე იძულებული შეიქნა სწდომა დაეხურა.

* * * * * გაზეთის „ივერიის“ უკანასკნელს (43) ნომერში დაბეჭდილია განცხადება მომავლის 1879 წლიდამ ჟურნალის „ივერიის“ გამოცემაზედ, რომლიდამაც სჩანს, რომ ამ ჟურნალს ექნება ისეთი-ვე პროგრამა, როგორც საზოგადოდ ყველა თვიურ გამოცემათ აქეთ: შინა-

განი და უცხო ქვეყნის ცხოვრების მი-მოხილვა, ბელეტრისტიკა, კრიტიკა, კორრესპონდენციები, ბიბლიოგრაფია და სხვ.

რედაქცია არ აცხადებს—თუ ვინ მიიღებს ჟურნალში მონაწილეობას და ან რა გზას, რა მიმართულებას დაადგე-ბა ჟურნალი.

ფასი წელიწადში 12 მანეთი იქნება.

* * * * * ძახეთიდამ გვეწერენ, რომ თამბა-ქოს მოყვანა, განსაკუთრებით სიღნაღის უფლებში, თან-და-თან ვრცელდება, რადგან ხალხი დიდ სარგებლობას ჰხე-დავსო. თუმცა საუბედუროთ, მომეტე-ბული ნაწილი თამბაქოს პლანტაციები-სა სომხებს და ბერძნებს ეკუთვნის თურ-მე ძახეთში, მაგრამ ხალხი მუშაობას და ამით სარგებლობენო. სოფ. მეჯინი-დამ გვატყობინებენ, სხვათა შორის, რომ გლეხის დედაკაცს ვერ ნახავთ აქაო, რომ, თამბაქოს მუშაობის წყალობით, უკანასკნელი ხუთი-ექვსი და ხან მეტი თუმანი არ მოაგროვოს ერთ ზაფხულ-შიო; თვით მცირე-წლოვანი ყმაწვი-ლებიც კი ბლომად აგროვებენ ფუ-ლებსაო.

* * * * * მართლი ძალიან გახარებულია თითქმის მუდამ დღე მოგედის ჩვენ იქი-დამ ამბავი, რომ წელს ბევრი ღვინო მოგვივიდა, ბევრი ღვინო მოგვივიდაო! მართლაც ბევრი უნდა მოსვლოდესთ, თუ, როგორც გვეწერენ, ქურჭელის უქონელობის გამო, ბევრი მემამულეები მაჭარს ახლავე ჰყიდიან და ჰყიდიან ნა-ხევარ ფასად.

სომხებიც გახარებული არიან თურმე ძალიან: ჯგუფ-ჯგუფად დაიარებიან თურმე ამ ქამად მართლის სოფლებში და ღვინით იღებენ თავიანთ მამასისხ-ლად გასესხებულ ფულს.

„დროების“ კორრესპონდენცია

ზაქათალის მაზრიდამ, 30 ოქტომ-ბერს. (დასასრული). ჩავიაროთ მაზრის სოფლებისაკენ.

მთელი ჩვენი მაზრა ოთხ ნაწილად არის განყოფილი: შარ-მუზახის, ბელაქ-ნის, აღიბათის და ძახის.

უკანასკნელს ნაწილს გარდა, ვგონებ, სხვა ნაწილებზედ არაფერი თქმულა, მაშინ როდესაც ეს ნაწილები საშინლად

დაცემულნი არიან: აქამომდე არც ერთ-ში შკოლა არ არის, თუმცა ყოველი ამ ნაწილებთაგანი შეიცავენ არა ნაკ-ლებ 20,000 მცხოვრებლებს. ლტოლვი-ლებაც მათში სწავლისადმი შეუღარებ-ლად დღია, ვიდრე თვითონ ინგილოვებ-შიაც.

ამ დღეებში ჩვენ ვიყავით ს. შარში. როცა მოებრუნდით, საიდგანაც იყო შაგირდებმა შეიტყეს ბავშვების კიჯინი და მაშინვე მთხოვეს: „წაგვიყვანე იქაო. ეს კიჯინი ჩვენებურ (მაჰმადურ) შკოლის ბავშვების ხმა არისო“. ამ შემთხვევამ მე და ჩემი ამხანაგი ძალიან გაგვახარა და დიდის კმაყოფილებით აღუსრულეთ ყმაწვილება თხოვნა.


აი შეველით ლამაზს სუფთა გადა-გილს ქართულის ეზოში. მარდათ გადაებ-ტით პაწაწინა ეზოში მოკამკამე არხს და მივადექით ერთს ქოხს, საიდგანაც ისმის ხმა, ეტყობა, ბავშვების გროვისა. ძოხის კედლები თხილის წნელით ამოწ-ნულია და ნეხვით გაგლესილი. შანჯ-რების ხსენებაც კი არ არის. ძარი ერთია.

ჩვენს ხმაურობაზედ გამოყო თავი ქურქში გახვეულმა მოლლამ, მასწავ-ლებელმა. იგი იყო ახალგაზნად; სა-ლაში მივეცი, ჯერ გაიღიმა გაკვირვებ-ით და მერმე თვითონაც სალაში მომ-ცა. იმას ძალიან გაუკვირდა ჩემი წმინდა თათრული ლაპარაკი...

მსთხოვეთ ნება მის სასწავლებელში შესვლისა. მიგვიპატიჯა დიდის კმაყო-ფილებით. სახლის შუაში იღვა ნაბადი (ქეჩა). ჩვენს შესვლისთანავე მოლლა დადგა ამ ნაბადზედ და როგორღაც გაიქნია თავისი შვინდის წკეპლა. მიწურ იატაკზედ და ქურჩებზედ დაჩოქილმა ბავშვებმა დაიწყეს კიჯინი: „აღჰამ დი-რილათი“ და განაგრძელეს თავიანთი კიჯინი. შევლას ხმა ერთად და ერთის ყველაში აჩრია, გამოვიდა ხმა მსგავსი ცხვრების ბლაგილისა. მოლლაც ყვი-როდა, მაგრამ ყველაზედ მაღლა; მას-თანვე ხან ერთს უჩვენებდა შვინდის წკეპლას, ხან მეორეს.

მე რომ ვკითხე, ხომ არა სცემ მაგ წკეპლათი-მეთქი—მან მიპასუხა: თუ არა ვსცემე, არ ისწავლიანო! ძალიან გაუკვირდა მე რომ უთხარი, ჩვენში ცე-მა სასტიკად აღკრძალულია-მეთქი...

ამ დროს სასწავლებელში იყო ხუთ-მეტი მოსწავლე; მათ რიცხვში ექვსი ქალი; ორი უკანასკნელთაგან არა ნაკ-ლებ 14 წლისანი. ძალები მშვენიერად



და სუფთად იყენენ ჩაცმულ-დახურულნი. შაუბები კი თავ-ფეხ შიშველნი, ცარიელ ჰვრანგანი ქურქებში შახვეულნი. შველანი ცქვიტად გვიყურებდნენ. როცა ჩვენი შაგირდები შეექცნენ მათთან საუბარში, ჩვენც დავიწყეთ მოლლასთან ლაპარაკი. მან გვიამბო შემდეგი:

მა ერთი თვე არისო, რაც ეს ყმაწვილები შევაქუჩეო; თითო თვეში სამს მანეთს მაძლევდნენ შორანის სწავლებისთვის; წიგნები არ იშოვებო და ამიტომ „ალიფ-ბეის“ (ანბანი) და „ლამალიფ ლამს“ ფიცრებზედ ვსწერ და ვასწავლიო. პარასკევის გარდა დილით საღამომდინ მაგრე დაჩოქილნი სწავლობდნო; მარტო მაშინ ვასვენებო, როცა ნამაზს შერებდნო და პურს სჭამენო.

ჩვენ მივიპატიჯეთ იგი თავის მოსწავლეებითურთ მომავალ პარასკევისთვის ჩვენებურ შკოლაში და მან დიდის კმაყოფილებით სურვილი გამოგვიცხადა. მანათ რამდენათ დაფასებს თავის სიტყვას. რომ უფრო დიდი სურვილი ჩაინერგოს ჩვენის შკოლის ნახვისადმი, ჩვენებმა იმღერეს „ნელ-ნელა მიდის მუღამ ღროება“... და სხვანი და გამოვემშვიდეთ მათ.

მა შკოლა ოთხს ვერსზედ არის ქ. ზაქათალიდგან. ამისთანა შკოლები არის თითქმის ყოველს აქაურს მაჰმადიანების სოფლებში. ზოგან კი, მაგალითებრ ამავე ს. შარში ოთხი არის ნანახის გარდა. იგინი იმითომ არ დადიან ჩვენს შკოლაში, რომ ჯერ კიდევ ეშინიანთ „გარუსებისა“, ე. ი. ჩვენ გაგვაქრისტიანებდნო და შორანის კითხვას აღვიკრძალდნო...

ინგილოელი

უსხო ქვეყნები

ოსმალეთი

სტამბოლის გაზეთს „შაკითში“ დაბეჭდილია შემდეგი ამბავი:

„სტამბოლში თითქმის ყველა დარწმუნებით ამბობს, რომ ამ მოკლე ხანში უეჭველად ხელ-ახლად ომი ატყდება. ბუშინწინ, როდესაც აქედამ აღრიანობოლში ჯარებს გზავნიდნენ, ოსმანთაშამ მოიხმო ყველა ბატალიონის კამანდირები და სხვათა შორის უთხრა იმათ, რომ „აღვილად შესაძლებელია, თქვენი სამსახური, თავგანწირული მხნეობა და ერთგულება ისევ მალე დასჭირდეს სამშობლოს და ამის გამო ყველანი მზათ იყავით ყოველ შემთხვევისთვის.“

— თითქმის აზგვარსავე ამბავს იწერებდნენ სტამბოლიდამ უცხო ქვეყნის გაზეთების კორრესპონდენტებიც; ერთი ამთგანი — „ტაიმისის“ კორრესპონდენტი, სხვათა შორის, ამბობს, რომ არა თუ სტამბოლში, საზოგადოთ მთელს ოსმალეთში დარწმუნებული არიანო, რომ უომოთ საქმე არ გათავდებო, რომ ჯერ შეტაკება ინგლისსა და ავგანისტანს

შუა მოხდება და მერე რუსეთიც და იქნება სხვა სახელმწიფოებიც ჩაერვებიან ამ ბრძოლაშიო.

ავსტრია

ზოგიერთს უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებოდნენ ამ ერთი კვირის ამას წინათ, რომ რუსეთსა და ავსტრიას შუა მეგობრული განწყობილობა მოიხსო და იდელოდ შესაძლებელია, რომ, თუ მეტროპოლიტ რამე შეტაკები მოხდა, ავსტრო-მენგრიამ ოსმალეთისა და ინგლისის მხარი დაიჭიროსო. ამ ხმებს მით უფრო მომეტებული მნიშვნელობა ეძლევა, რომ ამ უკანასკნელ დროს გამოაშკარა ერთის მხრივ ინგლისისა და ავსტრიის რაღაც საიდუმლო კავშირი და მეორეს მხრით ამ გვარივე კავშირი ინგლისსა და ოსმალეთს შუა. ამის გამო რუსის ელჩის შეველოვის ავსტრიაში გასვლას (რომელიც გუშინ გეაცნობა ღებუამ), უეჭველია, დიდ მნიშვნელობას მიაწერენ.

წერილი რედაქტორთან

შუალო რედაქტორო!

ამას წინეთ თქვენი პატივცემული გაზეთის „ღროების“ მე-212-12-ში იყო დაბეჭდილი თელავიდან კორესპონდენცია, რომელშიდაც ავტორი პსევდონიმს ქვეშ ბევრს რამეს ენება და ცუდ მხარეებს უაშკარებს და ისე მტკიცეო, ისე დარწმუნებით, რომ მართლაც ეგონება კაცს მისი სიტყვების სრული ჭეშმარიტება, თუმცა ბევრ მისგან წარმოთქმულ ჰზრს არავითარი საფუძველი, ფაქტები არა აქვს...

ჩემდა საუბედუროდ, მე არ შემიძლია აქ გავარჩიო მთელი კორრესპონდენციის შინაარსი, უჩვენო მკითხველს მისი სიტყუე და ანუ სიმართლე, არ შემიძლია ეს მისთვის, რომ არა მაქვს ხელში ფაქტები, ვიმეორებ, შესახებ მთელი შინაარსისა და უამისოთ, ხომ, ეს არ მოხდება, რადგან უსამართლო და უსაფუძვლოც იქმნება.

მაგრამ მე აღვილათ შემიძლია, ამ გვართ მოვიქცე შესახებ კორრესპონდენციის ერთი ნაწილის შინაარსისა, სადაც ავტორი ენება სამოქალაქო სასწავლებელსა: მის განწყობილებას და მასწავლებლებს, რადგან ყოველივე-შესახებ ამ სასწავლებლისა—კარგიც და ცუდიც—მე ნამდვილად ვიცი.

თავდაპირველად უფ. „მინც უნდა ვიყვე“ თავის მდიდარ კორრესპონდენციაში სამწუხაროთ მოგვითხრობს: ჩვენ წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელზე. მისი სიტყვით, იქ პირველ-დაწყებითი სწავლა მიდის უცხო ენაზე; სასწავლებლის ნახვა გარეშე პირთ თითქმის არ შეუძლიათ, რადგან მისი მმართველები იქ არავის უშვებენ დიდი პირის უნებლიეთ და ბოლოს, იქ სუფევს ისეთი სასჯელები, რომლებიც ყმაწვილისათვის ძლიერ მავნებელია და სხვა. და სხვ...

შემდეგ სასწავლებლის ამ ნაირი ხარაქტერისტიკისა, ავტორი გადადის სამოქალაქო

ლაქო სასწავლებელზე და აი რას ამბობს იმაზე:

„არც სამოქალაქო სასწავლებელია ამაზე ნაკლებ კეთილ-განწყობილობაში. იქ მასწავლებელი გათენებამდინ ღვინის სმაში და სტუკოლკის თამაშობაში ატარებენ დროებას; მემრე ათ საათზე ძლივ თავ-ბრუ-დახვეულნი მიიზლაზნებიან სასწავლებელში და შემდეგ ისევ ბრუნდებიან ნასუფრალზე. იქ არა უშავს რა, თუმც სუყველა მასწავლებლებიც ბულვარზე არ მიდიოდნენ და შაგირდები გაიფანტნენ სახლისკენ“ —

თუმც შემდეგ ამისა ავტორი არ ამბობს, რომ თელავის სამოქალაქო სასწავლებელში საქმე მიჰყავთ ძალიან ცუდათ და უსინდისოთ, მაგრამ ამგვარი დასკვნა იგულისხმება და არც იყო საჭირო.


მაშ, როგორც მკითხველი ცხადათ ხედავს, თელავის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებლები ყოფილან, ავტორის სიტყვით, ძალიან დაცემულნი ზნეობით და უფრო საზარალო და არა სასარგებლო იმ საზოგადოებისთვის, რომელშიდაც ისინი ტრიალებენ. მაშ ისინი ღირსნი არ არიან, იმისთანა მალალი და მძიმე საქმე ეჭიროთ ხელო, როგორც არას ზედგოგოური საქმე!

თუ რამოდენათაც არის გაჯავრებული უფ. „მინც უნდა ვიყო“ სამოქალაქო სასწავლებელზე და მის მასწავლებლებზე, ეს ცხადათ სჩანს იქილამ, რომ ის თავის კორრესპონდენციაში შეეგება ყველა მასწავლებლებს და ადვს მათ თავზე სხვა და სხვა დაბრალებებს; მეტის-მეტე სიცხარით.

პირველი და უმთავრესი დაბრალება, რომელიც იგულისხმება ავტორის სიტყვებისგან და რომელიც ჩვენ ზევითაც მოვიხსენიეთ მდგომარეობს მაში, რომ ზემოაღნიშნულ სასწავლებელში საქმე მიდის ერთობ ცუდათ და ამას ამტკიცებს უფ. „მინც უნდა ვიყო“ სხვა შემდეგი დაბრალებებია: 1) მასწავლებლები გათენებამდინ ღვინის სმაში და სტუკოლკის თამაშობაში ატარებენ დროს; 2) ათ საათზე ძლივს თავ-ბრუ-დახვეულნი მიიზლაზნებიან სასწავლებელში და შემდეგ ისევ ჩქარა ბრუნდებიან ნასუფრალზე; 3) სუყველა მასწავლებლები ბულვარზე მიდიან და შაგირდები შინისკენ იფანტებიან.

მე უნდა გამოვიცხადოთ თქვენ, უფ. „მინც უნდა ვიყო“, ჩემზედ მონდობილი საზოგადო ჩვენი თხოვნა, რომელსაც იმედია ამ მოკლე დროში სინდისიანათ აღასრულებთ. ამ თხოვნის შინაარსის არის, რომ დავეიმტკიცოთ ფაქტებით თვითმული თქვენი დაბრალება ჩვენზე და ეს ფაქტიკური დამტკიცება გამოხატოთ სრულს პასუხში, რომელიც ათი ღდის შემდეგ იმ რირცხვიდგან, როდესაც „ღროების“ ეს 12 გამოვა, უნდა მოგვეცეთ შემდეგ კითხვებზე:

1). სად, როდის, ვისთან და რამდენჯერ თელავის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებლები გათენებამდინ ღვინის სმაში და სტუკოლკის თამაშობაში ატარებდნენ დროებას?



2). როდის, სად, რამდენჯერ და ვინ მათგანი ნახეთ თქვენ, რომ ათ საათზე ძლიერ, თავ-ბრუ-დახვეული მიიზღაზნებოდა სასწავლებელში და შემდეგ ისევ ჩქარა ბრუნდებოდა ნასუფრალზე?

3) როდის იყო გაკვეთილების დროს, რომ სუვევლა მასწავლებლები ბუღღარზე მიდიოდნენ და შაგირდები კი შინსკენ იფანტებოდნენ?

როდესაც თქვენ, უფ. „მინც უნდა ვიყო“, ამ კითხვებზე მოგვეცემთ გამოგონებულ და სრულ მაშინ, რა პასუხს, საკვირველია, იქნებით მართალი და საფუძვლიანი შწერალი-კორრესპონდენტი; მაგრამ, ისევ სათქმელია, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მოგვეცით ნება, რომ დაგარქვათ ცრუ-კორრესპონდენტი.

თ ე ლ ა ვ ი ს ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ს ა ს .
მ ა ს წ . ლ . მ რ ი გ ო რ ა შ ვ ი ლ ი .
მ . თ ე ლ ა ვ ი , ო კ ტ . 30 - ს .

მზრალი მელოდია.

შენა სტიროდი.
(ბაირონისა).

შენა სტიროდი: როდესაც ცრემლით აღგვესო ტურფა შავი თვალები, გეგონებოდა ციურის წამით შევიღებო და ნამყოლები.

შენ იცინოდ: ამ დროს აღმასმა შენს ღიმილთანა გაიკრიალა, მაგრამ იმანაც ვერ დაუმალა შენსა თვალებსა მგზნებარე ძალა.

ვითა ბრწყინვალე მზისა აღმოსავლით ბუნებას კვალად გაეღვიძება და დაშთენილი ბურუსი მთებზედ ანაზღეულად გაიფანტება, მკრეცა შენა ნაზის ღიმილით გაბუნდულს გულსა ჰვენ ბრწყინვალეებსა და მოციხარის შენის თვალებით აქრობ მასშია მთლად მწუხარებას.

სოსიკო ბაქრაძე.

20 ოკტომბერს, 1878 წ.
სოფ. ცხინვალი.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეშტი, 1 ნოემბერს. დღეს გრაფი შუვალოვი იმპერატორმა შრანც-ნოსიფმა მიიწვია თავისთან სალაპარაკოდ.

პარიში, 2 ნოემბერს. რუსის ელჩმა ოლოგოვმა გამოუცხადა საფრანგეთის მთავრობას, რომ რუსეთი თანაუგრძობს საფრანგეთს, რომელიც საბერძნეთისათვის ზრუნავს.

სტამბოლი, 1 ნოემბერს. მცირე აზიის რეფორმების კანონი ჯერ კიდევ არ არის გამოცხადებული; ამბობენ, სულთანს ეს კანონი ჯერ არ დაუმტკიცებია.

კატარბურლის ბიჩაჰ, 3 ნოემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	8ან. კაპ.
პირველი გამოცემის —	97—
მეორესი — — — —	95—75
მესამის — — — —	95—50
მეოთხესი — — — —	95—75
აღმოსავლეთის — —	91—75
ოქრო, 1/2 იმპერიალი —	8—30
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — —	— —
შინაგანი 5% სესხის ბილეთები:	მან. ძაპ.
პირველი სესხის — —	235—50
მეორე სესხის — —	229—50
1 მანეთი ღირს:	
ლონდონი — — — —	23—17/32 პენსი
ამსტერდამი — — — —	118—75 ცენტი
ბერლინი — — — —	201— — ჰენიგი
პარიჟი — — — —	247—75 სანტიმი
ბაქეასიის კერასინი — —	2—50 —

ბანსხადეზანი

თფილისის საადგილ-მამულო

ბანკისაგან

მამგეობა თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკისა შშაღლესად დამტკიცებულის წესდების მე-§ 16 საფუძვლის ძალით, აცხადებს, რომ ამა 1878 წლის 9 ქრისტეშობისთვის, შუადღიდან, ქალაქი თფილისში ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზე ნ. შორღანოვის სახლში № 3, იქნება საზოგადო ბანკად (ხელ-მეორედ გასყიდვა არ იქნება) იმ ქვემო მოყვანილ პირთ უძრავ მამულში, რომელთაც არ შემოიტანეს დროზედ ბანკად აღებულის სესხის დანიშნული გადასახადი ფული, როგორც ამ ბანკის წესდების §§ 29, 30, 34 და 36 მოითხოვენ:

საზინოვისა, თ. მიხეილ პატას ძის, სახნავი მიწა და ტყე სულ 2074 დესიატინა და 420 ოთხ-კუთხი საყენი. თელოავის უეზდის სოფ. ახალდაბაში, ზემო-ხოდაშენში და ახმანში.

სრული ვალი აქვს ამ მამულს — 13,865 მან. და 90 კაპ.; გადაუხდელი სარგებელი და თავისა — 591 მან. 8 კაპ. სულ 14 456 მან. და 98 კაპ.

ჩოლაქაშვილისა, თ. ილია ზაალის ძის, სახნავი, სათიბი, საბალახე და ტყე სულ — 3042 დესიატინა. სიღნაღის უეზდის სოფ. ჭიაურში.

სრული ვალი — 39,616 მან. 88 კაპ.

შორღანანის, მასილის, ზაქარაის და მიხეილის ნიკოლოზის ძეთა, ნატალია ნიკოლოზის ასულისა და დარია ივანეს ასულისა, სახნავი, სათიბი, საბალახე და ტყე, სულ 584 დესიატინა და 880 ოთხ-კუთხი საყენი, თფილისის უეზდის შილოზის აგარაში.

სრული ვალი — 3,961 მან. 69 კაპ. გადაუხდელი 538 მან. 60 კაპ. სულ 4,500 მან. 29 კაპ.

მრისთავისა, თ. რაფიელისა დე იოსების დავითის ძეთა, სტეფანე და ტყე, სულ — 900 დესიატინა. თფილისის უეზდის სოფ. ბოკორმაში.

სრული ვალი — 5,356 მან. 33 კაპ. გადაუხდელი 268 მან. 4 კაპ., სულ 5,624 მან. და 37 კაპ.

ვალიოკვივისა, თ. პონსტანტინე როსტომის ძისა, თ.თ. ნიკოლოზ, მიორგის და მიხეილის დიმიტრის ძეთა, მართა დიმიტრის ასულისა და სალომე პანტელეიმონის ასულისა, — სახნავი, სათიბი, საბალახე მიწები, ტყე, ბაღი და ვენახი, სულ 1,446 დესიატინა 2294 ოთხ-კუთხი საყენი, ბორის უეზდის სოფ. სკრაში.

ვალი 32,733 მან. 18 კაპ. გადაუხდელი აქვს კიდევ — 1,371 მან. 49 კაპ., სრული ვალი — 34,104 მან. 67 კაპ.

ორბელიანისა, თ. ვახტანგ ვახტანგის ძისა — სახნავი, სათიბი, საბალახე მიწები და ტყე, სულ 1,977 დესიატინა და 1,280 ოთხ-კუთხი საყ., თფილისის უეზდის სოფლებში ძველ-დუმანისს, ჩინჩურაში, ციხის-საყდარში, საჭარლოში და ძართევანის-სოფელში.

ვალი — 13,886 მან. 80 კაპ., გადასახადი — 591 მან. 8 კაპ., სრული ვალი 14,477 მან. და 88 კაპ.

ორბელიანის, თ. ვახტანგ ვახტანგის ძისა, სახნავი, საბალახე, სათიბი მიწები და ტყე, სულ 1,434 დესიატინა, 1,120 ოთხ-კუთხი საყენი, თფილისის უეზდის სოფლებში — მუსიკალაში და შინდლარში.

ვალი — 10,942 მან. 47 კაპ., გადასახადი კიდევ — 467 მან. 8 კაპ., სულ 11,416 მან. 34 კაპ.

ამილახვიანისა, თ. ამირინდო ამირინდოს ძის, სახნავი და საბალახე მიწები, სულ — 145 დესიატინა 1,756 ოთხ-კუთხი საყენი, ბორის უეზდის სოფ. ნაწრეტს.

ვალი — 2,984 მან. 31 კაპ., გადასახადი — 139 მან. 21 კაპ., სულ 3,123 მან. 52 კაპ.

ანდრონიკაშვილისა, თ. ზაქარია იესეს ძის, სახნავი, საბალახე და სათიბი მიწები და ჩიქვარი, სულ 4,765 დესიატინა, თფილისის უეზდის სოფელ ლომბალოსთან.

ვალი — 59,686 მან. 23 კაპ., გადასახადი — 3,049 მანეთი, სრული ვალი 62, 735 მან. და 38 კაპ.

სულთანოვის, ხეჩატურ როსტომის ძისა, ვრთ-ვტაჟიანი ქვით-კირის სახლი, მიწით 38 ოთხ-კუთხი საყ. და 7 ოთხ-კუთხი არშინი, ქ. თფილისში, მე-II განყოფილების მე-13 უჩასტკაში, ჰავ-ლაბარში.

ვალი 377 მან. 4 კაპ., სულ 412 მან. და 18 კაპ.

ტარ-მიჰირტიჩიანისა, მრისტეფორე ნიკიტის ძისა, სამ ვტაჟიანი ქვით-კირის სახლი თავის ყველაფრით და მიწით 634 1/2 საყ., ქ. თფილისში, მე-II განყოფილებას მე-12 უჩასტკაში, ნიკოლაევის ქუჩაზე, ჩულურეთში.

შალი აძევს—77,287 მან. 59 კაპ., გადასახადი—4,347 მან. 5 კაპ., სულ—81,634 მან. და 64 კაპ.

სულხანოვისა, მარიამ ივანეს ასულის, ა) ერთ-ერთი ქვეთკ. დუქანი, ბ) ორი სამ-ერთი ქვეთკ. დუქანი, ორი ორ-ერთი ქვეთკ. დუქანი და გ) თერთმეტი ერთ-ერთი ქვეთკ. დუქანი თავის მიწით 276 ოთხ-კუთხი საყ. და 7 არშინი. ქ. თფილისში: ა) I განყოფ. მე-7 უჩასტკაში, ბ) მე-II განყოფ. მე-14 უჩასტკაში ჩუღურეთში.

შალი—17,126 მან. 77 კაპ., გადასახადი—874 მან., 60 კაპ., სულ 18,001 მან. 37 კაპ.

თმთრადის, მლახა ზურაბის ძის, ა) სამ-ერთი ქვეთკ. დუქანი, ბ) ორ-ერთი ქვეთკ. დუქანი, ორი ორ-ერთი ქვეთკ. დუქანი და გ) თერთმეტი ერთ-ერთი ქვეთკ. დუქანი თავის მიწით 125 ოთხ-კუთხი საყ. ქ. თფილისში—1 განყოფ. 1 უჩასტკაში, ღვიდოვის ქუჩაზე.

შალი—6,337 მან. 19 კაპ., გადასახადი—385 მან. 91 კაპ., სულ—6,723 მ.

კავლიშვის, იაკობ სვიმონის ძის ორ-ერთი ქვეთკ. დუქანი, ბ) ორ-ერთი ქვეთკ. დუქანი, ორი ორ-ერთი ქვეთკ. დუქანი და გ) თერთმეტი ერთ-ერთი ქვეთკ. დუქანი თავის მიწით 125 ოთხ-კუთხი საყ. ქ. თფილისში, 1 განყოფილებაში მე 5 უჩასტკაში, ნემცების ქუჩაზე.

შალი—5,761 მან. 6 კაპ., გადასახადი—367 მან. 10 კაპ., სულ 6,128 მან. 19 კაპ.

ამატუნისა, კნენა ანა ნაზარის ასულისა, ა) ორ-ერთი ქვეთკ. დუქანი, ბ) ორ-ერთი ქვეთკ. დუქანი, ორი ორ-ერთი ქვეთკ. დუქანი და გ) თერთმეტი ერთ-ერთი ქვეთკ. დუქანი თავის მიწით 178 ოთხ-კუთხი საყ. ქ. თფილისში I განყოფ. მე-4 უჩასტკაში, ვილიამენოვის ქუჩაზე.

შალი—52,748 მან. 19 კაპ., გადასახადი—2,591 მან. 80 კაპ., სულ 55,339 მან 99 კაპ.

ამირალშვისა, ისაკ მოსეს ძის, ერთ-ერთი ქვეთკ. დუქანი, ბ) ორ-ერთი ქვეთკ. დუქანი, ორი ორ-ერთი ქვეთკ. დუქანი და გ) თერთმეტი ერთ-ერთი ქვეთკ. დუქანი თავის მიწით 490 ოთხ-კუთხი საყ. ქ. ბორში.

შალი—781 მან. 45 კაპ., გადასახადი—65 მან. 98 კაპ., სულ—847 მან. 43 კ.

მეხტიშვის, სადი-მსკარ-ოღლის, ორ-ერთი ქვეთკ. დუქანი, ბ) ორ-ერთი ქვეთკ. დუქანი, ორი ორ-ერთი ქვეთკ. დუქანი და გ) თერთმეტი ერთ-ერთი ქვეთკ. დუქანი თავის მიწით 547 ოთხ-კუთხი საყ. ქ. თფილისში I განყოფ. მე 9 უჩასტკაში, ბოტანიკურ ბაღთან.

შალი—1,200 მან., გადასახადი 66 მ. 88 კაპ., სულ—1,266 მან. 88 კაპ.

მანაძის, თ. ივანე ბადაურის ძის, ორი ზვართან ცარიელი მიწით; ერთი ზვარს სივრცე—1,789 ოთხ-კუთხი საყ. მეორე—სივრცე 124 საყ. სივანე აღმოსავლეთის მხრით 28 1/2 საყ. და დასავლეთის მხრით 27 საყ. სიღნაღის უეზდის სოფ. ბაკურციხეს.

შალი—1,200 მან., გადასახადი—47 მან. 80 კაპ., სულ 1,247 მან. 80 კაპ.

მანაძის, კნენა მკატორინა ბიორგის ასულის, სახანე-სათიბი მიწა და ტყე—308 დესიატინა და 555 ოთხ-კუთხი საყ. თელავის უეზდის სოფ. პანდოლში.

შალი—2,000 მან. გადასახადი—100 მან. 80 კაპ., სულ 2,100 მან. 80 კაპ.

მანაძის, თ. ბიორგი ნიკოლოზის ძის, ევნახი მიწით 1 დესიატინა 1,200 ოთხ-კუთხი საყ. სიღნაღის უეზდის სოფ. ბაკურციხეს.

შალი—500 მან., გადასახადი—37 მან. 20 კაპ., სულ—537 მან. 20 კაპ.

მანაძის, თ. ზაქარია ივანეს ძის, ევნახი ადგილით—7 დესიატინა და 920 ოთხ-კუთხი საყ. თელავის უეზდის სოფ. ტურდლილაურს.

შალი—2,000 მან., გადასახადი—100

მან. 80 კაპ., სულ—2,100 მან. 80 კაპ. მჭობა (ტორგი), მანკის წესდების მე-19 მუხლის ძალით, დაიწყო ზემომოყვანილი ვალის დასახადი, რომლისაც მიემატება გადასახადისა და საერო ხარჯის გადაუხდელო ვალი. მანკის თავნულში შეიძლება შეიტანონ ამავე მანკის გიროს ფურცლები (ზაკლადნი ლისტები) მანეთი მანეთისათვის, შეიძლება აგრეთვე, მანკის დათანხმებით, ეს ვალი მამულის მსყიდველზე გადავიდეს; ვალის გათანახადი და აგრეთვე სხვა ხარჯი კი ნაღდ ფულათ უნდა იქმნეს მანკში შეიტანილი.

თუ პირველი ვაჭრობის დროს (ტორგის დროს ე. ი. ამ 1878 წლის 9 ქრისტეშობისთვის, არ გაიყიდა ზემოხსენებული მამულები, ამ შემთხვევაში, მანკის წესდების მე-22 მუხლის ძალით, დანიშნული იქნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 23 ქრისტეშობისთვის ამავე 1878 წლისათვის.

(3-1)

ქალაქის გამგეობის განცხადება

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ვაჭრობის უფლებისათვის მომავალ 1879 წლისათვის ქალაქის სასარგებლოდ ფულების შემოტანა შეიძლება ქალაქის გამგეობაში (შპრაფაში) ამ ნომბრის პირველიდამ დილის 9 1/2 საათიდან ვიდრე ნაშუადღევს 1 საათამდე. ხაზინისათვის ფულის მოგროვება და სავაჭრო დოკუმენტების მიღება შეიძლება თფილისის გუბერნიის ქაზნაჩისტეოში (ხაზინაში).

(3-1)

რბ. ვზა.	დღია.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მანკაპ.	გაზანდა	მანკაპ.	თფილისის სამკურნალო					
თფილისი	9 21	5 18	კაპ.	მ. კაპ.	მ. კი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 28 მქტომბ.		მრევნის მადანზე, წ. ნამძღვარავის სახლებში.					
მცხეთა	10 11	6 27	68	38	ტაყსისი აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	50	ფქვ. თეთ. მანჯ. სა, ფთ.	180	აეთამყოფებს მიიღვენ ყოველს დღე დილის 9 საათიდან 1-მდინ.					
ზორი	11 53	9 43	240	133	როსტოვი, მდენას, მოსკოვ	2	ფქვილი წითელი	150	მ. რ. შაბათს: მერმიშვი და მ. რ. ლევიჩი—შინაგ. ავთ., მლოჩარიანც—საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.					
ხაშური	129	11 57	392	218	პეტერბურს, პარაგვას.	2	ბამბა მრევ ისა, ფუთი	650	სამშაბათს: მერმიშვი—შინაგ. ა. ბ. ხუტოვი—საბეზო და ბავშვის, პეუნოვი—თფილის.					
სურამი	144		442	246	მსმალთში, შვიციკრაში.	3	— ამერიკია, ფუთი	730	მ. თხ. შაბათი: მერმიშვი შინაგანი.					
შვირილა	549		581	323	იტალია და ს. გრანგ თში.	3 50	ბანტალი ბ მბა ფუთი.	10	ხუთ შაბათს: მერმიშვი—შინაგ., მლოჩარიანცი—სიკლიტიკური და საზარდ ორგანების.					
რიონი	657		675	375	ინგლისში	3 75	მატყლი თფური ფუთი	850	პარასკევს: მერმიშვი—შინაგ., ა. ბ. ხუტოვი—საბეზო ქალისა და ბავშვის.					
სამტრედია	751		773	429	ფოჩტა		— მარაქამისა ფუთი	440	პეუნოვი—თფილისა.					
ახალ-სენაკი	843		857	476	ა) თფილისიდან: სამზღვარ გართ, მუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხეთში. მსურ.—პარასკ. და ორშ. ბ. ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) მუთაისიდან: თფილისისა და შოთის კენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურ—გეთს—ორშ. და პარასკ.		აბრეშუმი ნუბური სტ.	2	მონის სანთლი ფუთი	750	სტეარინის სანთელი, ფთ.	1240		
ფოთი	9 3		975	542	ვიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		— ცხვრისა, ლიტრა	81	სპირტი ვედრო	480	შაქარი, ბროც. ფუთი	740	— ფხვნილი ფუთი	620
ახალ-სენაკი	10 14		118	66	ლა წიგნის	4	ქვე გრგვლი, გირვ.	70	ქეთი ქუნჯუთისა ფუთი	1280	შაბათს: მერმიშვი შინაგ., და პეუნოვი—თფილისა.	660		
სამტრედია	11 5		2 6	114	დ. ბ. კილიის (ხ. მიხსალი)	8	მამბაქო, საშულო ფთ.	660						
რიონი	12 13		3 4	169										
შვირილა	1 18	ლაგ.	3 98	2 21										
სურამი	5 12		110 5 33	2 96										
ხაშური	5 39		137 5 84	3 24										
ზორი	7 5		4 8 7 36	4 9										
მცხეთა	8 50		6 59 9 8 5	4										
თფილისი	9 31		7 56 9 75 5	42										